წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 2

ქ. წალკა; 29.02. 2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ვუსალ უზუნალოვი, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, დიანა პაქსაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ხინიკაძე;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე.**

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:35 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

3. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულომ ღია კენჭისყრით (27 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა
სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: მელიტონ პაკელიანი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

/მომხსენებელი: ამირან საყვარელიძე წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თანამომხსენებელი: ლევონ მარკოსიანი ქონების მართვისა და ბუნებრივი საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ჯაბა აბულაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე;

ჯემალ ბერიძე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე;

3. განკარგულების პროექტი წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

/მომხსენებელი: ჯაბა აბულაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა: ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებელმა: მელიტონ პაკელიანმა საკრებულოს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯემალ ბერიძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (26 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #3 თან ერთვის);

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";

მომხსენებელმა: ამირან საყვარელიძემ საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;

თანამომხსენებელმა: ლევონ მარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯაბა აბულაძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯემალ ბერიძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (26 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #4 თან ერთვის);

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2024 წლის თებერვლის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელი: ჯ.აბულაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ;

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (26 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.1192060001 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი